ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნაძალადევის რაიონის მაჟორიტარი წევრის, მიხეილ ამაშუკელის წარმომადგენლობის 2019 წლის იანვარი-ივნისის თვის ანგარიში.

საკრებულოს დეპუტატის მიხეილ ამაშუკელის მე-19 ოლქის წარმომადგენლობის მიზანი და ძირითადი ამოცანებია:

1. დეპუტატის სამაჟორიტარო ოლქში არსებული პრობლემების და აქტუალური საკითხების აღმოფხვრისა და გადაწყვეტის ხელშეწყობა და წარმომადგენლობის საქმიანობისთვის საჭირო სხვა ფუნქციების განხორციელება.
2. ამომრჩევლებთან შეხვედრების ორგანიზება; ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობასა და ადგილობრივი საკითხების გადაწყვეტაში საკრებულოს მაჟორიტარი-დეპუტატის მონაწილეობის ხელშეწყობა;
3. მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანი საკითხების განხილვასა და გადაწყვეტაში საზოგადოების ჩართულობის გაზრდის ხელშეწყობა.
4. საკრებულოს მაჟორიტარი წევრის მოქალაქეებთან შეხვედრის (მათ შორის, საჯარო შეხვედრის) ორგანიზება, მოქალაქეთა წერილების, საჩივრების, განცხადებების საქმისწარმოების ერთიანი ელექტრონული აღრიცხვა და შესწავლა
5. მაჟორიტარი საკრებულოს წევრის ხელშეწყობა საკანონმდებლო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, კერძო/საჯარო დაწესებულებებთან, საერთაშორისო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, მედია საშუალებებთან ურთიერთობისას;

წარმომადგენლობა მუშაობს ძირითადად შემდეგი მიმართულებებით: ჯანდაცვისა და სოციალურ, ინფრასტრუქტურულ, გარემოს დაცვის, კულტურის, განათლების და სპორტის საკითხებს. ნაძალადევის რაიონის მე-19 ოლქში მცხოვრები მოსახლეობის თხოვნები, მაჟორიტარის წარმომადგენლობის მიერ კანონით განსაზღვრული ვადებიდან გამომდინარე მაქსიმალურად სწრაფად სრულდება.

ნაძალადევის რაიონის მე-19 ოლქის წარმომადგენლობას განცხადებით მიმართა 250-მა მოქალაქემ; ჩვენ მიერ შუამდგომლობა გაეწია 195 მოქალაქეს; წარმომადგენლობისა და დეპუტატის მიერ, კონსულტაცია გაეწია 1500-მდე მოქალაქეს; საკრებულოს მაჟორიტარი წევრი შეხვდა 2000-მდე მოქალაქეს.

სოციალური საკითხები

მოქალაქეების ძირითადი თხოვნები ეხება ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ საკითხებს: მედიკამენტოზური მკურნალობა, გამოკვლევები, ოპერაციები, ერთჯერადი ფინანსური დახმარება და სხვ. პირებს, რომლებიც მოგვმართავენ ჯანმრთელობის საკითხებზე, წარმომადგენლობა უზრუნველყოფს მათ სრული მხარდაჭერით. შუამდგომლობის კონსულტირება ხდება ჩვენი კომპეტენციისა და თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი პროგრამებით გათვალიწინებული წესის თანახმად. მოქალაქეები, რომლებიც მაჟორიტარ წევრს მომართავენ სოციალური სტატუსის მინიჭების, აღდგენის ან სოციალური მომსახურების პროგრამით გათვალისწინებული სერვისების მოთხოვნის შესახებ, წარმომადგენლობა უზრუნველყოფს მათ ინფორმირებულობას, არკვევს შესაძლო დაბრკოლებებს, რაც გახდა მოქალაქისთვის ე.წ. მაღალი ქულების მიღების ან სოციალური სტატუსის შეჩერების საფუძველი.

ინფრასტრუქტურული საკითხები

პ. გრუზინსკის შესახვევი #13-ის მიმდებარედ დაზიანებული ქვაფენილის ნაცვლად ბეტონის საფარის მოწყობა
ქსოვრელის ქუჩა #28-ის მიმდებარედდაზიანებული ქვაფენილის ნაცვლად ბეტონის საფარის მოწყობა
ვეტერანთა კულტურისა და დასვენების პარკი (ატრაქციონის რეაბილიტაცია)
ცინცაძის ქუჩა მე-2 შეს. #6-ის მიმდებარედ (ლითონის დამცავი კონსტრუქცია)
დ. ჯიხაიშის ქუჩის 1-ლი შეს. #14-სა და #16-ს შორის გრუნტის გატანა
სვანეთის ქუჩა #54-ის მიმდებარედ გრუნტის გატანა

ბეჟანიშვილის ქუჩა N77 და N79 (ბეტონის საცალფეხო გზის შეკეთება)
ღრმაღელის ქუჩა N20 -ის მიმდებარედ. (გზის მიმდინარე შეკეთების სამუშაოები)
ღრმაღელის ქუჩის N30-ის და N91-ის მიმდებარდ ბეტონის საფარის მოწესრიგება
ბენდელიანის ქუჩა, კორპ. N12ა-ს მიმდებარედ საბავშვო ატრაქციონის გარშემო მოაჯირის მოწყობა
თმოგვის ქუჩა N2-ის და N4-ის მიმდებარედ ბეტონის საფარის მოწესრიგება
ვეტერანთა კულტურისა და დასვენების პარკის სარეაბილიტაციო სამუშაოები
ღოღობერიძის ქუჩა-გზა, სანიაღვრე ქსელი, ბორდიური, ტროტუარი, გზის სავალ ნაწილზე ასფალტის ორფენიანი საფარი
დიდი ჯიხაიშის ქუჩა N58-ის მიმდებარედ 56 მეტრიანი გრუნტის დამჭერი საყრდენი კედელი მოეწყო.
ნაძალადევის რაიონში, დადიანის მე-2 მიკრორაიონის მე-2 კორპუსის მიმდებარედ
1 700 კვ.მ ფართობზე ასფალტის ორფენიანი საფარი დაიგო, ასევე, ბორდიური და ტროტუარი მოეწყო.
ნინუას ქუჩა N3-ში ფიტნეს ზონის მოეწყო, კაუჩუკისსაფარიან მოედანზე სავარჯიშო ტრენაჟორები დამონტაჟდა.

გზები

ჯავის 1-ლი შესახვევი
ჯავის მე-2 შესახვევი
ჯავის მე-3 შესახვევი
ახალდაბის შესახვევი
სააკაძის ქუჩა (ც. დადიანის მე-2 მ/რ, კორპუსი #2-ის მიმდებარედ
ზესტაფონის ქ.N18ა-თან
იმერეთის ქუჩაზე N46-დან N57 -მდე

საყრდენი კედლები

ეკა ბეჟანიშვილის ქ. მე-2 გასასვლელი #48
დიდი ჯიხაიშის ქ. #109ა
ილურიძის ქ. #75 ბ
ღრმაღელის ქ. #54

სპორტული მოედნები

ღრმაღელის ქ. გას. მე-4 კორპუსის მიმდებარედ
ლომთათიძის ქ. მე-2 კორპუსის მიმდებარედ

სატრანსპორტო კვანძზე ჩამოსასვლელი კიბეები

ზედაზენის ქუჩის ბოლოში	კიბე და მოაჯირი
ღრმაღელის ქუჩა N66	კიბე და მოაჯირი

ქართლის ქუჩა N49	

საბავშვო ატრაქციონები

ბენდელიანის 12ა-ს მიმდებარედ
ჭყონდიდელის 20ა-ს მიმდებარედ

დასასვენებელი პავილიონი

ჭყონდიდელის 20ა

„კიკვიძის პარკი“

მე-19 ოლქის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატის მიხეილ ამაშუკელის შუამდგომლობით, ნაძალადევის რაიონის მოსახლეობისათვის წინასაარჩევნოდ მიცემული დაპირება ვეტერანთა დასვენებისა და კულტურის (კიკვიძის) პარკის რეაბილიტაცია თბილისის მერიის დაფინანსებით დაიწყო და წლის ბოლოსთვის დასრულდება. მიწის საერთო ფართი 71,313 კვ.მ-ს შეადგენს,სადაც იგეგმება საბავშვო ზონის,საბავშვო მოედნის,სპორტული და სამაგიდო სივრცის, ველო და სარბენი ბილიკების მოწყობა,ასევე სხვა გასართობი და გამაჯანსაღებელი სივრცის განთავსება. პროექტის ღირებულება 4 921 728 ლარია. თბილისში გაჩნდება ერთ-ერთი უნიკალური რეკრეაციული სივრცე, რომლითაც ისარგებლებენ არა მარტო ნაძალადევის რაიონის მაცხოვრებლები, არამედ ქალაქის ნებისმიერი მოსახლე.

წარმომადგენლობის მიერ სამომავლოდ განსახორციელებელი მიზნები და ამოცანები

წარმომადგენლობის სამომავლო გეგმები მოიცავს, რაც შეიძლება მეტი ამომრჩევლის მაქსიმალურად დაკმაყოფილებას. საკრებულოს დეპუტატის მიხეილ ამაშუკელის მიერ წინასაარჩევნო დაპირების ფარგლებში დასრულდება კიკვიძის ბაღის სრული რეაბილიტაცია და ასევე მულტიფუნქციური სპორტული კომპლექსის მშენებლობა, რაც მნიშვნელოვანია ყველა ასაკის მოქალაქისათვის ჯანმრთელი წესის დანერგვის საქმეში.